„მთამსვლელობის სკოლა“

დებულება

დამტკიცებულია ა(ა)იპ - საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის გამგეობის მიერ
_____ წელს. ოქმი #_____

2024 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს „მთამსვლელობის სკოლის“ (შემდგომში - „სკოლა“) საქმიანობას, მართვის პრინციპებსა და წესებს, განსაზღვრავს სკოლის, მისი ხელმძღვანელობის, პედაგოგებისა და მოსწავლეების უფლება-მოვალეობებს.

2. „მთამსვლელობის სკოლა“ წარმოადგენს ა(ა)იპ საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის (შემდგომში - „ფედერაცია“) მართვასა და დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ფედერაციის წესდებით, ამ დებულებითა და ხელმძღვანელი პირების/ორგანოების მითითებების შესაბამისად.

3. სკოლა არის საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის სპორტულ-საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც შემუშავებულია საქართველოში დამწყები, მოყვარული და პროფესიონალი მთამსვლელების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

4. სკოლა ანგარიშვალდებულია ფედერაციის გამგეობის, პრეზიდენტისა და აღმასრულებელი დირექტორის წინაშე (შემდეგში - „სკოლის ხელმძღვანელობა“).

5. სკოლის დაფინანსების წყაროა ფედერაციის ბუჯეტი. სკოლა სარგებლობს ფედერაციის ქონებით.

6. სკოლის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №37ა.

7. სკოლა შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. სკოლის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. სკოლის მიზნებია:

    1.1. საქართველოში მთამსვლელობის განვითარება, არსებული ცოდნის და გამოცდილების გაზიარება;
    1.2. მთამსვლელობის პოპულარიზაცია, ახალგაზრდებში მთამსვლელობის, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მათი მაქსიმალური დაინტერესება და მასობრივი ჩართვა მთამსვლელობაში;
    1.3. მთამსვლელთა თაობებს შორის უწყვეტობის უზრუნველყოფა;
    1.4. მთამსვლელობით და მისი მომიჯნავე დისციპლინებით (მეკლედურობა, ყინულზე ცოცვა, ლაშქრობა და ა.შ) დაინტერესებული ახალგაზრდების შეკავშირება და მათი ცოდნის გაღრმავება ამ სფეროში;
    1.5. მთაში უსაფრთხოდ გადაადგილების საბაზისო წესების შემუშავება, დანერგვა, ფართო საზოგადოებისთვის გაზიარება.

2. საკოლის ამოცანებია:

2.1. მთამსვლელობით დაინტერესებული ახალგაზრდების მოძიება და მათი ჩართვა სკოლის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში;
2.2. პერსპექტიული მთამსვლელების გამოვლენა, მათთვის პროფესიონალური ცოდნის მიცემა, სპორტული განვითარების ხელშეწყობა, დამოუკიდებელ და სრულფასოვან მთამსვლელებად ჩამოყალიბება.

3. სკოლის ფუნქციებია:

3.1. სასწავლო გეგმით დადგენილი შეკრებების, ვარჯიშების, თეორიული და პრაქტიკული სწავლებების (შემდგომში - „სწავლება“) მაღალი დონით განხორციელება;
3.2. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა გამოცდილი და კვალიფიციური ინსტრუქტორებით/მწვრთნელებით, პედაგოგებით, სხვადასხვა დარგის საჭირო ექსპერტებითა და სპეციალისტებით, სწავლების ჩასატარებელი სივრცით, საერთო აღჭურვილობით, შეძლებისდაგვარად პირადი აღჭურვილობით, სწავლების რეგიონში გამართვის შემთხვევაში - ტრანსპორტირებითა და კვებით, ასევე, სასწავლო პროცესის სათანადოდ გამართვისთვის აუცილებელი სხვა ღონისძიებებით;
3.3. სკოლის სწავლების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა და მათი დაფინანსების მოსაპოვებლად საჭირო ბაზრის კვლევების განხორციელება;
3.4. სკოლის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით თანმშრომლობა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, მწარმოებლებთან და მიმწოდებლებთან;
3.5. სკოლის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობების, შეხვედრების, კონფერენციების ორგანიზება;
3.6. სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება;
3.7. სკოლის მოსწავლეთა ჩართულობა სკოლის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში მათთვის გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში;
3.8. სასკოლო პროცესის წარმართვა უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვით;
3.9. სასწავლო პროცესის ობიექტურად, სამართლიანად და მიუკერძოებლად წარმართვა;
3.10. საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 3. სკოლის სტრუქტურა

1. სკოლის სტრუქტურაში შემავალი პოზიციებია:

1.1. სკოლის ხელმძღვანელი;
1.2. სასწავლო პროცესში მონაწილე ინსტრუქტორები.

2. სკოლის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, ხოლო სკოლის სხვა თანამშრომლები - სკოლის ხელმძღვანელთან და ფედერაციის ხელმძღვანელობასთან.
3. ინსტრუქტორების ჩართულობა სასწავლო პროცესში ხდება და მათი რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის ეტაპებზე.

4. საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლას შეიძლება ჰყავდეს სხვა შტატგარეშე თანამშრომელიც, რომლის ფუნქცია-მოვალეობები, შერჩევის კრიტერიუმები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგინდება კონკრეტული საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში შესასრულებელი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლის ხელმძღვანელის ინიცირებით ფედერაციის გამგეობის მიერ.

მუხლი 4. სკოლის ხელმძღვანელი

1. სკოლას ხელმძღვანელობს და მის საქმიანობას წარმართავს სკოლის ხელმძღვანელი.

2. სკოლის ხელმძღვანელი:

   2.1. ხელმძღვანელობს სკოლის საქმიანობასა და სასწავლო პროცესს ამ დებულების, სასკოლო პროგრამისა და ყოველწლიური სასწავლო გეგმის, სკოლის მიზნების და ამოცანების შესაბამისად;
   2.2. პრეზიდენტთან შეთანხმებით შეიმუშავებს სკოლის შინაგანაწესის, თანამდებობრივი ინსტრუქციების, შიდა რეგულაციების და სკოლასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების პროექტებს და წარუდგენს ფედერაციის გამგეობას დასამტკიცებლად;
   2.3. ამზადებს სკოლის საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს ფედერაციის პრეზიდენტს, აღმასრულებელ დირექტორს და გამგეობას;
   2.4. შეიმუშავებს სკოლის მომავალი წლის ბიუჯეტს/ არსებულ ბიუჯეტში ცვლილებს და წარუდგენს მას გამგეობას;
   2.5. გამგეობის მიერ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ახორციელებს სწავლების განსახორციელებლად საჭირო ხარჯების იდენტიფიცირებას, დაფინანსების მოსაპოვებლად საჭირო კვლევებისა და შემდგომში თანხების მიზნობრვად ხარჯვის ოპერატიულ მართვას, მათი სწორად და მიზნობრივად გამოყენების ხელმძღვანელობას;
   2.6. სკოლის მიზნების განსახორციელებლად შეიმუშავებს მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს, პროგრამებს, პროექტებს, გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს და ათანხმებს მათ ფედერაციის ხელმძღვანელობასთან;
   2.7. საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან ან/და სპეციალისტებთან;
   2.8. გადაწყვეტილებებს იღებს სკოლის მოსწავლეების სტატუსის შეჩერებასთან და გარიცხვასთან დაკავშირებით ამ დებულებაში დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით;
   2.9. ახორციელებს სკოლისათვის დაფინანსების მოძიებას;
   2.10. ახორციელებს სკოლის დებულებაში შესატანი ცვლილებების ინიცირებას გამგეობის წინაშე;
   2.11. უზრუნველყოფს სკოლის მუშაობის მაქსიმალურ გამჭვირვალობას;
   2.12. კომპეტენციის ფარგლებში წარმართავს სკოლის ყოველდიურ საქმიანობას;
   2.13. უზრუნველყოფს სკოლის დებულების, თანამდებობრივი ინსტრუქციების, შიდა რეგულაციებისა და სკოლის სხვა დოკუმენტების, ასევე, ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებისთვის საჭირო პროცედურებს;

2.14. ახორციელებს თანხების მიზნობრივად ათვისების დაგეგმვას;
2.15. უზრუნველყოფს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების, პროგრამების, პროექტებისა თუ სხვადასხვა ღონისძიებების შესრულებას, ამ ღონისძიებებში ჩართული პირების ინფორმირებას და მათ კოორდინირებულ მუშაობას;
2.16. ახორციელებს სასკოლო პროგრამისა და ყოველწლიური სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის საჭირო ღონისძიებებს;
2.17. აწარმოებს სკოლის საქმინაობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სააღრიცხვო-საცნობარო დოკუმენტაციას, მათ გადაცემა/გადაგზავნას დანიშნულებისამებრ შესაბამისი პირისათვის/ორგანოსათვის;
2.18. ახორციელებს სკოლის მოსწავლეთა აღრიცხვას და მათი პირადი საქმეების წარმოებას;
2.19. ახორციელებს სკოლის თანამშრომლების აღრიცხვასა და მათი პირადი საქმეების წარმოებას;
2.20. პატივს სცემს სკოლის ღირებულებებს და იცავს ეთიკურ ნორმებს;
2.21. სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას მუდმივ კოორდინაციაშია პრეზიდენტთან და აღამსრულებელ დირექტორთან;
2.22. ახორციელებს სკოლის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებს.

3. სკოლის ხელმძღვანელის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ინიშნება მისი დროებითი მოვალეობის შემსრულებელი.

4. სკოლის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგეობა. მისი შერჩევა/დანიშვნა ხდება გასაუბრების საფუძველზე გამგეობის მიერ.

5. კანდიდატი ვალდებულია გასაუბრებაზე წარმოადგინოს სკოლის განვითარების მისეული ხედვა წერილობითი ფორმით.

6. კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმებია:

6.1. კანდიდატის მიერ გასაუბრებაზე წარმოდგენილი სკოლის განვითარების ხედვის პროექტის თანხვედრა სკოლის მიზნებთან და ამოცანებთან;
6.2. მთამსვლელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის, დაგეგმვის ან/და მათი ხელმძღვანელობის გამოცდილება;
6.3. სკოლის ღირებულებების, მიზნების და ამოცანების გააზრება და გაზიარება;
6.4. მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

7. სკოლის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება:

7.1. გამგეობის გადაწყვეტილებით, თუ ის ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს ან/და არღვევს ფედერაციის ან სკოლის ეთიკის კოდექსს;
7.2. საკუთარი სურვილით წერილობითი განცხადების საფუძველზე.

8. გამგეობის გადაწყვეტილებით სკოლის ხელმძღვანელზე შეიძლება გაიცეს შრომითი ანაზღაურება ან/და სხვა სახის წახალისება, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს გამგეობა.

მუხლი 5. სკოლის ინსტრუქტორი

1. ინსტრუქტორი უშუალოდ არის ჩართული სასწავლო პროცესში და სასკოლო პროგრამის შესაბამისად ახორციელებს სკოლის მოსწავლეთა სწავლებას.

2. სკოლის ინსტრუქტორი:

   2.1. ინსტრუქტორები შეირჩევიან სკოლიე კონკრეტული ერთი ან რამდენიმე შეკრებისათვის.
   2.2. უშულოდ წარმართავს სწავლების პროცესს სასკოლო პროგრამის შესაბამისად;
   2.3. სწავლების პროცესს წარმართავს ობიექტურად, სამართლიანად და მიუკერძოვებელად;
   2.4. დადგენილი სტანდარტების დაცვით ახორციელებს სკოლის მოსწავლეების კვალიფიკაციისა და სპორტული ფიზიკური მდგომარეობის შეფასებას, ადასტურებს მოსწავლეთა მიერ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი საფეხურის შესრულების ფაქტს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს;
   2.5. საქმიანობის განხორციელებისას განუხრელად იცავს ეთიკის კოდექსსა და ზოგად ზნეობრივ ნორმებს;
   2.6. იცავს სკოლის ღირსებასა და პატივს სცემს მის ღირებულებებს;
   2.7. სწავლების პროცესში მუდმივ კოორდინაციაშია სწავლების ხელმძღვანელთან, სკოლის ხელმძღვამელთან.

3. სკოლის ინსტრუქტორებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგეობა. მათი შერჩევა/დანიშვნა ხდება კონკურსის საფუძველზე,გამგეობის მიერ.

4. კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმებია:

   4.1. სასწავო პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო კვალიფიკაცია;
   4.2. სკოლის ღირებულებების, მიზნების და ამოცანების გააზრება და გაზიარება;
   4.3. პედაგოგიური უნარები;
   4.4. მსგავსი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში გამოცდილება;
   4.5. მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

5. ინსტრუქტორის თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება:

   5.1. გამგეობის გადაწყვეტილებით, თუ ის ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს ან/და არღვევს ფედერაციის ან სკოლის ეთიკის კოდექსს;
   5.2. საკუთარი სურვილით წერილობითი განცხადების საფუძველზე.

6. ფედერაციის გადაწყვეტილებით, სასკოლო პროგრამის შესაბამისი ეტაპის განხორციელებისას, ინსტრუქტორზე შეიძლება გაიცეს შრომითი ანაზღაურება ან/და სხვა სახის წახალისება, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს ფედერაცია.

მუხლი 6. სკოლის მუშაობის პრინციპი და სასწავლო პროგრამის ძირითადი მიმართულებები (სასწავლო პროგრამა)

1. სასწავლო პროგრამა მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

   1.1. თეორიული სწავლებები მთამსვლელობის შესახებ;
   1.2. ალპინისტური გასვლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში;
   1.3. მთაში, კლდეზე, თოვლზე, ყინულზე უსაფრთხოდ გადაადგილების თეორიული და პრაქტიკული სწავლებები;
   1.4. კლდეზე ცოცვა სხვადასხვა ტექნიკით;
   1.5. ყინულზე ცოცვა;
   1.6. თხილამურით და სკიტურით გადაადგილება;
   1.7. საზვავე უსაფრთხოება;
   1.8. ბეჭდური და ციფრული სანავიგაციო სისტემების გამოყენება, სივრცეში ორიენტირება მათი საშუალებით და მათ გარეშე;
   1.9. სხვადასხვა ექსტემალურ პირობებში გადარჩენა;
   1.10. სამაშველო ოპერაციების დაგეგმვა და განხორციელება სხვადასხვა პირობებში;
   1.11. პირველადი სამედიცინო დახმარება.

2. სასკოლო პროგრამა ხორციელდება სამ საფეხურად:

   2.1. <u>პირველი საფეხური:</u>
   ახალბედების მიღების შემდომ, სასწავლო წლის განმავლობაში, ჩატარდება შეკრებები, ვარჯიშები, თეორიული და პრაქტიკული სწავლებები. ახალბედები გაეცნობიან მთამსვლელობას, როგორც სპორტის მათთვის ახალ დისციპლინას და ისწავლიან მთაში უსაფრთხოდ გადაადგილების საბაზისო წესებს.

   2.2. <u>მეორე საფეხური:</u>
   დამწყები სპორტსმენებისთვის, რომელთაც უკვე აქვთ გარკვეული საბაზისო ცოდნა მთამსვლელობაში, წლის განმავლობაში, ჩატარდება შეკრებები, ვარჯიშები, თეორიული და პრაქტიკული სწავლებები. ისინი გაიღრმავებენ ცოდნას და შეძლებენ კვალიფიკაციის ამაღლებას. ასევე, სკოლის რეკომენდაციის საფუძველზე, შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ გაერთიანებული ფედერაციის მხარდაჭერით მოწყობილ ადგილობრივ და საერთაშორისო მნიშვნელობის ექსპედიციებში და სხვადასხვა ღონისძიებებში.

   2.3. <u>მესამე საფეხური:</u>

გამოცდილი სპორტსმენებისთვის, რომლეთაც გააჩნიათ გარკვეული ცოდნა მთამსვლელობაში და სურთ აიმაღლონ კვალიფიკაცია, წლის განმავლობაში, ჩატარდება შეკრებები, ვარჯიშები, თეორიული და პრაქტიკული სწავლებები. მესამე საფეხურის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სპორტსმენები ყალიბდებიან დამოუკიდებელ მთამსვლელებად. მათ ექნება სრულფასოვანი ცოდნა ექსპედიციების დასაგეგმად და ჩასატარებლად, ასევე, სკოლის რეკომენდაციის საფუძველზე, შესაძლებლობა ექნებათ მოხვდნენ საქართველოს ნაკრებში, მონაწილეობა მიიღონ გაერთიანებული ფედერაციის მხარდაჭერით მოწყობილ ადგილობრივ და საერთაშორისო მნიშვნელობის ექსპედიციებში და სხვადასხვა ღონისძიებებში.

3. სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული შეკრებებში, ვარჯიშებში, თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებებში წარმატებით მონაწილეობის შემთხვევაში, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, ახალგაზრდებს მიენიჭებათ მათი გამოცდილების შესაბამისი რანგი (გამოცდილების აღმნიშვნელი საფეხური მთამსვლელობაში) და გაეწევათ რეკომენდაცია შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად.
4. ყოველი წლის დასაწყისში ხელმძღვანელი შეიმუშავებს და ამტკიცებს მთელი წლის დეტალურ სასწავლო გეგმას დებულებით გათვალისწინებული პროგრამის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. გეგმის შესამუშავებლად, ხელმძღვანელს შეუძლია მოიწვიოს სხვადახვა დარგის ექსპერტები და სპეციალისტები.

მუხლი 7. სკოლაში მიღება

1. სკოლა ყოველი წლის დასაწყისში აცხადებს ახალწვეულების მიღებას.

2. სკოლაში მოსახვედრად განაცხადის შეტანა შეუძლია ნებისმიერს მსურველს. განაცხადი იგზავნება სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტის მისამართზე. განაცხადი უნდა მოიცავდეს მსურველის სახელს, გვარს, პირად ნომერს, ასაკს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს. სკოლის გადაწყვეტილებით შესაძლოა მოთხოვნილ იქნას სხვა ინფორმაციაც.

3. განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ, გამგეობა ნიშნავს 3 წევრისაგან შემდგარ კომისიას, რომელშიც შედის სკოლის ხელმძღვანელი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - მოვალეობის შემსრულებელი პირი. კომისია ატარებს გასაუბრებებს და ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებებს მსურველთა მიღებასთან დაკავშირებით.

4. სკოლის პროგრამაში ჩართვისათვის სკოლამ შესაძლოა განცხადებასთან ერთად მოითხოვოს ჯანმრთელობის ცნობის (ფორმა 100) წარმოდგენა, 16-დან 18 წლამდე მოზარდებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ მშობლის დამოწმებული თანხმობა.

5. პირველ საფეხურზე ახალწვეულების მიღება ხდება მსურველის განცხადების საფუძველზე, გასაუბრების გავლის შემდეგ კომისიის გადაწყვეტილებით. ჩარიცხვისას არაა აუცილებელი მთამსვლელობის გამოცდილება. შერჩევისას ყურადღება მიექცევა:

5.1. მთამსვლელობაში ან/და მის მომიჯნავე სპორტულ დისციპლინებში გამოცდილებას (მოლაშქრეობა, მეკლდეურობა, ბოლდერინგი, თხილამურები, სკიტური, ყინულზე ცოცვა, სპელეოლოგია და სხვა);
5.2. მთამსვლელობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის გამოცდილებას (მაგ: ალპინიადა, ექსპედიცია, ვარჯიში, სწავლება, კურსი და სხვა);
5.3. ფიზიკურ მომზადებას;
5.4. მორალურ და ზნეობრივ ღირებულებებს.

6. მეორე საფეხურზე მიღება ხდება მსურველის განცხადების საფუძველზე, გასაუბრის გავლის შემდეგ კომისიის გადაწყვეტილებით ან პირველი საფეხურის წარმატებით დახურვის შემთხვევაში. პირველი საფეხურის გავლის გარეშე მეორე საფეხურზე მოხვედრისათვის სპორტსმენს სკოლისგან დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეს:

6.1. ის ცოდნა, გამოცდილება და უნარები, რაც პირველ საფეხურზე ისწავლება (გავლილი უნდა ჰქონდეს ყველა იმ სირთულის მარშრუტი, რომელსაც მოიცავდა სკოლის პირველი საფეხური, უნდა ჰქონდეს ცოდნა იმ თეორიული და პრაქტიკული სწავლებების შესახებ, რომელსაც მოიცავდა პირველი საფეხური);
6.2. სათანადო ფიზიკური მომზადება;
6.3. მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

7. მესამე საფეხურზე მოხვედრა ხდება მსურველის განცხადების საფუძველზე, გასაუბრის გავლის შემდეგ კომისიის გადაწყვეტილებით ან მეორე საფეხურის წარმატებით დახურვის შემთხვევაში. მეორე საფეხურის გავლის გარეშე მესამე საფეხურზე მოხვედრისათვის სპორტსმენს სკოლისგან დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეს:

7.1. ის ცოდნა, გამოცდილება და უნარები, რაც პირველ და მეორე საფეხურზე ისწავლება (გავლილი უნდა ჰქონდეს ყველა იმ სირთულის მარშრუტი, რომელსაც მოიცავდა სკოლის პირველი და მეორე საფეხური, უნდა ჰქონდეს ცოდნა იმ თეორიული და პრაქტიკული სწავლებების შესახებ, რომელსაც მოიცავდა პირველი და მეორე სასწავლო საფეხური);
7.2. ფიზიკური მომზადება;
7.3. მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

8. გასათვალისწინებელია, რომ სკოლამ შეიძლება ვერ უზრუვნელყოს მოსწავლეთა პირადი საჭურველით მომარაგება. შესაბამისად, სკოლაში ჩაბარების მსურველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მან თავად უნდა უზრუნველყოს პირადი საჭურველი და მზად იყოს ამისთვის.
9. გამგეობის გადაწყვეტილებით სკოლამ შესაძლოა სკოლაში მიღების მსურველთათვის დააწესოს გადასახადი.

მუხლი 8. სკოლიდან გარიცხვა/ სტატუსის შეჩერება

1. მოსწავლე შეიძლება სკოლიდან გაირიცხოს:

   1.1. სკოლის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, თუ ის ვერ/არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, არღვევს სკოლის ეთიკის კოდექსს ანდა სკოლის შინაგანაწესს;
   1.2. თუ არასაპატიო მიზეზით ვერ დაძლევს სასკოლო პროგრამის შესაბამის საფეხურს;
   1.3. პირადი განცხადების საფუძველზე.

2. მოსწავლის სტატუსის შეჩერება ხდება:

   2.1. სკოლის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, თუ ის რაიმე მიზეზით ჩამორჩება სკოლის პროგრამას;
   2.2. პირადი განცხადების საფუძველზე.
   2.3. სტატუსის შეჩერება შესაძლებელი არაუმეტეს ერთი წლის ვადით, შემდეგ მოსწავლე ან აგრძელებს სწავლას ან გაირიცხება სკოლიდან.

3. მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის ან სტატუსის შეჩერების შემდეგ, სტატუსის აღდგენა ხდება მოსწავლის წერილობითი განცხადების საფუძველზე, გამგეობის და სკოლის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, შემთხვევის ინდივიდუალურად განხილვით.

მუხლი 9. სკოლის მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები

1. სკოლის მოსწავლეს უფლება აქვს:

   1.1. მოითხოვოს სასწავლო პროგრამის სრულად და მაღალი დონით შესრულება, მიიღოს ხარისხიანი და კვალიფიციური განათლება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებების, ვარჯიშების, შეკრებების და სხვა ღონისძიებების საშუალებით;
   1.2. მოითხოვოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა;
   1.3. უზრუნველყოფილი იყოს მისი ჩართულობა/მონაწილეობა სკოლის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში მისთვის გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში;
   1.4. ისარგებლოს სკოლის მიერ გამოყოფილი საერთო ინვენტარით ფედერაციის მიერ დადგენილი წესების დაცვით;
   1.5. მოითხოვოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია;
   1.6. მოითხოვის პერსონალური მონაცემების დაცვა;
   1.7. მოითხოვის ღირსეული მოპყრობა;
   1.8. გამოთქვას საკუთარი აზრები და შეხედულებები;
   1.9. მოითხოვოს სკოლის მიერ მის წინაშე აღებული სხვა პასუხისმგებლობების შესრულება.

2. სკოლის მოსწავლე ვალდებულია:

2.1. სრულად იყოს ჩართული და მონაწილეობა მიიღოს სკოლის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში მისთვის გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში;
2.2. დაემორჩილოს სწავლების ხელმძღვანელის/ინსტრუქტორის მითითებებს, გაითვალისწინოს მისი მიცემული შენიშვნები;
2.3. გაუფრთხილდეს სკოლის ქონებას;
2.4. შეასრულოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ღონისიებები და სკოლის შინაგანაწესი;
2.5. პატივი სცეს სკოლის სხვა მოსწავლეების, ინსტრუქტორების, პერსონალს და სასწავლო პროცესში მონაწილე სხვა პირებს;
2.6. დაიცვას სკოლისა და ფედერაციის ღირსება, პატივი სცეს სკოლის ღირებულებებს, დაიცვას სკოლის ეთიკის კოდექსი;
2.7. სწავლების პროცესში მუდმივ კოორდინაციაში იყოს სწავლების ხელმძღვანელთან/ ინსტრუქტორთან ან/და სკოლის ხელმძღვანელთან.

3. სკოლის მოსწავლე ანგარიშვალდებულია სწავლების ხელმძღვანელის/ინსტრუქტორისა და სკოლის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 10. რანგირება

სკოლის მოსწავლე მთამსვლელის გამოცდილების შესაბამისი რანგი (გამოცდილების აღმნიშვნელი საფეხური მთამსვლელობაში) განისაზღვრება ფედერაციის მიერ შემუშავებული რანგირების წესის შესაბამისად.

მუხლი 11. სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის გამგეობის მიერ მისი დამტკიცებისთანავე.
2. ამ დებულების რომელიმე მუხლის ბათილობა გავლენას არ მოახდენს დებულების სხვა მუხლების ნამდვილობაზე.

_____